

ფიტოფტოროზი (გამოწვეული – Phytophthora infestans-ით ან Phytophthora parasitica-თი)



სიმპტომები: 1. აავადებს როგორც ჩითილებს, ისე მოზრდილ მცენარეებს, მათ ღერო-ფოთლებსა და ნაყოფებს. ფესვის ყელთან ჩნდება ყავისფერი ლაქები, რომლებიც თანდათან იზრდება როგორც კორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით როგორც ფესვებისკენ, ისე ზემოთ, ფოთლები დუნდება, მცენარე ჭკნება. მსგავსი ლაქებია ფოთლებზეც. ნაყოფებზე მონაცრისფრო-ყავისფერი ლაქებია, რომლებიც იზრდება, ზოგჯერ მათზე მოთეთრო მიცელიუმიც შეინიშნება. 2. იწვევს იგივე სიმპტომებს, განსხვავება იმაშია, რომ ამ სოკოთი დაავადებისას ლაქები ოქროსფერ რკალშია ჩამჯდარი.

გამომწვევი: დაავადებას იწვევენ ოომიცეტი სოკოები, აქვთ 1 უჯრედიანი მიცელიუმი. ინფექცია ხდება ზოოსპორებით, იზამთრებენ ოოსპორებით.

ხელშემწყობი პირობები: მაღალი ტენიანობა, ხშირი ნარგავები, 28-32 გრადუსი ტემპერატურა.